თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1623700

ნომერი: AR1267449

თარიღი : 21.11.2014

გაცემის თარიღი : 03.12.2014

გაცნობის თარიღი : 05.12.2014

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , სოფელი დიღომი ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- მიხეილ მახათაძე პ/ნ 01026007757
- აკაკი შანიძის ქ. #25

ორგანიზაცია:
- სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი კოდი: 202 352 514

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 60 კვ.მ-მდე ფართობის 5 მ-მდე სიმაღლის და 2 მ-მდე ჩაღრმავების მქონე შენობა ახალი მშენებლობა

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

გადაწყვეტილება

I კლასის დამხმარე შენობა-ნაგებობის (საწყობის) მშენებლობის შესაძლებლობის დადასტურების თაობაზე

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სოფელ დიღომში, შპს "სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი"-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე I კლასის დამხმარე შენობა-ნაგებობის (საწყობის) მშენებლობას. განსახორციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება I კლასის ობიექტს, რომელიც არ საჭიროებს მშენებლობის ნებართვას, თუმცა სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობას ადასტურებს ქ. თბილისის მერიის სსიპ "თბილისის არქიტექტურის სამსახური".

"მშენებლობის ნაბართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად არქიტექტურის სამსახურმა შეამოწმა წარმოდგენილი დოკუმენტაციის (კუთვნილების დამადასტურებელი დოკუმენტის საკადასტრო მონაცემები #01.72.14.034.706; არსებული ფოტო და ფოტომონტაჟი, მინდობილობა, გენგეგმა) ქალაქმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში, სოფელ დიღომში, შპს "სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი"-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე I კლასის დამხმარე შენობა-ნაგებობის (საწყობის) მშენებლობის შესაძლებლობას.

ამასთან, შენობა–ნაგებობების მშენებლობისას ვალდებული ხართ დაიცვათ კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები:

– საკადასტრო საზღვრიდან მინიმალური დაშორება 3 მეტრზე ნაკლების დროს, სამეზობლო მხარეს არ შეიძლება კარისა და ფანჯრის ღიობების მოწყობა, ან შესაძლებელია მოეწყოს მინაბლოკი.
– სამშენებლო მიწის ნაკვეთის საზღვარზე, მეზობლის მიწის ნაკვეთის მხარეს შენობის სახურავის მოწყობისას დამკვეთმა/მესაკუთრემ უნდა უზრუნველყოს ისეთი საინჟინრო ღონისძიებების განხორციელება, რაც ააცილებს ატმოსფერული ნალექების მოხვედრას მეზობლის მიწის ნაკვეთში.
– საკადასტრო საზღვრიდან მინიმალური დაშორება 5 მეტრზე ნაკლების დროს სამეზობლო მხარეს ხის მასალა უნდა იქნას დამუშავებული ცეცხლმედეგი ხსნარით;
– ვინაიდან აღნიშნული ტერიტორია წარმოადგენს არქეოლოგიური ძეგლების დაცვის ზონას (თრელიგორების არქეოლოგიური უბანი), არქეოლოგიური მემკვიდრეობის ობიექტების დაცვისა და შესაძლო დაზიანების თავიდან აცილებუის მიზნით, დამკვეთი ვალდებულია მშენებლობის დაწყებამდე არა უგვიანეს 5 დღისა აცნობოს ქ. თბილისის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურსა და საქართველოს ეროვნულ მუზეუმს სათანადო დაკვირვებითი სამუშაოების განსახორციელებლად.

ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.

სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.

აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.



ლესვა და ღებვა ფერი-თეთრი
მეტალოპლასტმასის ფერი-თეთრი
ლითონის კარი ფერი-ღია ნაცრისფერი
3.15
2.60
2.80
2.75
4.0
0.50
±0.00
14.0


ლესვა და ღებვა ფერი-თეთრი
მეტალოპლასტმასის ფერი-თეთრი
ლითონის კარი ფერი-ღია ნაცრისფერი
3.15
2.80
2.60
2.75
4.0
±0.00
0.50
14.0



საქართველოს

ქ. თბილისის მერია

სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახური

ქ. თბილისში, სოფელი დიღომი, შ.პ.ს. "სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი"-ს საკუთრებაში არსებული 1875 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის

გ ე გ მ ა

საფუძველი: ქ. თბილისის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს წერილი № ქ.თბილისის მთავრობის №20-32-704. 10.11.2008 წლის დადგენილება.

სამსახურის უფროსის მ/შ
/ა. ბოჭორიძე/.

სიტუაციური სქემა მ 1:2000	მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების მომზადების განყოფილება		
	განყოფილების უფროსი:		ნ. გვენცაძე
	მთავარი სპეციალისტი:		
	საინვესტიციო განყოფილება		
	განყოფილების უფროსი:		ლ.მელვინიშვილი
	მთავარი სპეციალისტი:		
	მიწის ნაკვეთის ფუნქცია და ქალაქთმშენებლობითი პირობების პარამეტრები		



პირობითი აღნიშვნები

WGS 84–ის კოორდინატთა სისტემის UTM პროექცია

- საცხოვრებელი შენობა
- არასაცხოვრებელი შენობა
- ფარდული
- სათბური
- დანგრეული შენობა
- ბუნკერი, რეზერვუარი
- თხრილი
- ბორდიური
- ასფალტის გზა
- გრუნტის გზა
- რკინიგზა
- მთავარი იზოჰიფსი
- იზოჰიფსი სიმაღლით
- ქვის ღობე
- ლითონის ღობე
- ბეტონის ღობე
- მავთულბადის ღობე
- გაზი
- წყალი
- ნაყარი მიწა
- ჩამოჭრილი გრუნტი
- კონტურული ხაზი
- ქარსაცავი ზოლი
- ცოცხალი ღობე
- მიწის ნაკვეთის საზღვარი
- ტრანსფორმატორი, ელ. ქვესადგური
- ხეები, პალმა, ბუჩქი
- ბოძები
- განათების ელ. ბოძი
- ონკანი, სათვალთვალო ჭა
- ანძა, ანტენა

თბილისი ჯგუფი ზურაბ ჭავჭავაძის 8
info@tbilisigroup.ge 995 32 951653

დირექტორი	ნ. ჭეიშვილი
აზომა	პ. ჯიქიძე
დახაზა	ა. კრივოლიაკო
მ 1:500	2012წ.

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №612889

ნომერი: AR1118151

თარიღი : 21.03.2013

გაცემის თარიღი : 29.03.2013

გაცნობის თარიღი : 30.03.2013

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , სოფელი დიღომი ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- მიხეილ მახათაძე პ/ნ 01026007757
- აკაკი შანიძის ქ. #25

ორგანიზაცია:
- სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი კოდი: 202 352 514

ნომენკლატურა :

- გაზგასამართი
- III კლასი
- ვადაგასული
- მშენებლობის ნებართვა

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: ავტოგასამართი სადგურის, ავტოგასამაღთ კომპლექსად რეკონსტრუქცია
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: დავით გოგსაძე
- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შპს"არქ ლაინი"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 404908187

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არესბობის შემთხვევაში).: შპს"სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 202352514
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: დავით ზუბიტაშვილი
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01030004652

.შეთანხმებული პროექტის რეკვიზიტები.:

- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების ნომერი.: 351360
- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების თარიღი.: 14.09.2012

.მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები.:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : 351360
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 14.09.2012

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

ვბრძანებ

1. გაიცეს. ქ. თბილისში, სოფელ დიღომში, კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი №01.72.14.034.706), ავტოგასამართი სადგურის ავტოგასამართ კომპლექსად რეკონსტრუქციის (გაზგასამართის დამატებით) მშენებლობის ნებართვის მოქმედების ვადის გასვლის გამო, ახალი მშენებლობის ნებართვა და მშენებლობის სანებართვო მოწმობა.
2. მშენებლობის ვადა განისაზღვროს 2013 წლის 29 მარტიდან 2013 წლის 29 სექტემბრის ჩათვლით.
3. დამკვეთი ვალდებულია სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე სამშენებლო მოედანზე იქონიოს სამშენებლოდოკუმენტი კანონით გათვალისწინებული სრული შემადგენლობით, პასუხისმგებელი პირის მიერ ხელმოწერილი,
მათ შორის:
3.1 სამშენებლო მიწის ნაკვეთის საინჟინრო–გეოლოგიური კვლევა:
3.2 საჭიროების შემთხვევაში შენობა–ნაგებობების და მიწის ნაკვეთ(ებ)ის კვლევა საქართველოს მთავრობის 24.03.2009 წლის #57 დადგენილების 35–ე მუხლის შესაბამისად:
3.3 მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი ამ დადგენილების 61–ე მუხლის შესაბამისად:
3.4 კონსტრუქციული პროექტი, რომელიც შედგება შენობა–ნაგებობის ძირითადი კონსტრუქციული სისტემის დეტალური პროექტისაგან, მათ შორის, ფუძე–საძირკვლისაგან:
3.5 სავალდებულო საექსპერტო შეფასების განხორციელება საქართველოს მთავრობის 24.03.2009 წლის #57 დადგენილების მოთხოვნათა შესაბამისად.
მშენებლობის (ზედამხედველობის) ეტაპები: [1] 1. ფუძის და საძირკვლის მოწყობის სამუშაოები; 2. ძირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა ნულოვან ნიშნულამდე; 3. ნულოვანი ნიშნულიდან მაქსიმუმ ყოველ 7.0 მეტრ სიმაღლეზე (სართულების შემთხვევაში სართულების ჯერადად) ძირითადი კონსტრუქციული სისტემის (არამზიდი კონსტრუქციების გამოკლებით) მოწყობა; [2] 4. სახურავისა და გადახურვის მოწყობა; 5. არამზიდი კონსტრუქციების მოწყობა; 6. ტექნოლოგიური მოწყობილობების მონტაჟი; 7. გარე მოსაპირკეთებელი სამუშაოები.

• მშენებლობა განხორციელდეს წარმოდგენილი კალენდარული გრაფიკის შესაბამისად.

• მშენებლობის დამთავრების შემდეგ ობიექტი მიღებული იქნას ექსპლუატაციაში კანონმდებლობით დადგენილი წესით.

• სამშენებლო დოკუმენტის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს. სამსახური პასუხისმგებელია მხოლოდ მის მიერ დამოწმებული დოკუმენტების კანონმდებლობასთან შესაბამისობაზე.

• თუ ნაწარმოები სამშენებლო სამუშაოები არ შეესაბამება სანებართვო დოკუმენტაციას, არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე ზედამხედველობის განმახორციელებელი ადმინისტრაციული ორგანო დამრღვევის მიმართ გაატარებს პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსით განსაზღვრულ ღონისძიებას.

• დამკვეთი ვალდებულია უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს ან/და თანამდებობის პირის მოთხოვნისთანავე უზრუნველყოს იმ დოკუმენტაციის გაცნობა, რომელიც ამ უკანასკნელმა უნდა იქონიოს სამშენებლო მოედანზე.

• საინფორმაციო დაფა უნდა არსებობდეს სამშენებლო სამუშაოთა წარმოების მთელ პერიოდში და განახლდეს სამშენებლო დოკუმენტში შეტანილი ცვლილებების შესაბამისად, თუ ეს არსებითად ცვლის დაფაზე განთავსებულ ინფორმაციას.

• დამკვეთი/მშენებლობის ნებართვის მფლობელი ვალდებულია შეასრულოს შემდეგი სანებართვო პირობები:

- აწარმოოს მშენებლობა მშენებლობის ნებართვით განსაზღვრულ ვადებში;

- აწარმოოს მშენებლობა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების ან/და განაშენიანების რეგულირების გეგმის მოთხოვნების დარღვევის გარეშე;

- აწარმოოს მშენებლობა სამშენებლო დოკუმენტის დარღვევის გარეშე; - აწარმოოს მშენებლობა სამშენებლო რეგლამენტების მოთხოვნათა დაცვით;

- უზრუნველყოს ძირითადი კონსტრუქციული სისტემის, ინტერიერის საერთო ან/და საზოგადოებრივი სარგებლობის ნაწილების, ლოკალური საერთო სარგებლობის საინჟინრო-კომუნალური ქსელების, ექსტერიერისა და მიწის ნაკვეთის ტერიტორიის მოწყობის სამშენებლო სამუშაოების დასრულება;

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.


SOCAR
OFFICE
1
2
09:37
SUPER 2.00
PREMIUM 1.95
REGULAR 1.80
DIESEL 1.95
DIESEL 1.75


SOCAR
OFFICE
1
2
09:37
SUPER 2.00
PREMIUM 1.95
REGULAR 1.80
DIESEL 1.95
DIESEL 1.75

არსებული სიტუაცია



ფოტომონტაჟი

